ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
კახიანოურის ,საფიჩხიისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი
საკრებულოს წევრის მაგდა კოსტავას
2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საჯაროობის პრინციპის დაცვითა და ანგარიშვალდებულებით ამომრჩევლების წინაშე, მე კახიანოურის ,საფიჩხიისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მაგდა კოსტავა წარმოგიდგენთ ანგარიშს 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მე როგორც საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა წევრმა მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში.

კერძოდ:

- საკრებულოს, 13 რიგითსა და 4 რიგგარეშე სხდომაში;
- საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 16 სხდომაში;
- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 13 სხდომაში;
- გენადერული თანასწორობის საბჭოს 7 სხდომაში;

როგორც კახიანოურის ,საფიჩხიისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარმა, საკრებულოს წევრმა 2022 წლის განმავლობაში ჩავატარე 85 შეხვედრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში. ხოლო 14 გასვლითი შეხვედრა მოქალაქეების საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

კერძოდ:

- კახიანოურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გავმართე 38 შეხვედრა მოქალაქეებთან, ხოლო 6 გასვლითი შეხვედრა მოქალაქეების

საცხოვრებელ ადგილზე ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტების გასაცნობად.

- საფიჩხიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გავმართე 42 შეხვედრა ხოლო 5 გასვლითი შეხვედრა მოქალაქეებთან ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროექტების გასაცნობად.
- მუხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩავატარე 5 შეხვედრა და 3 გასვლითი შეხვედრა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროექტების გასაცნობად.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გიზიარებთ განხორციელებული ინფრასტრუქტურული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელ ინფორმაციას რომელიც აერთიანებს გზების, საყრდენი კედლების, ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციას. სკვერების და სპორტულ, გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

➡ საფიჩხია

საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული პრიორიტეტები:

2022 წელს შესრულდა საყრდენი კედლების აღდგენა/გამაგრება შემდეგ მისამართებზე *რიონჰესის ქუჩა N15, სოლომონ მე-2-ის ქუჩა N28; ტყიბულის ქუჩა 137; ნეკრასოვის ქუჩა N100; ნეკრასოვისა და სოლომონ 1-ლის (N77-თან) ქუჩების კვეთა.*

თომაშვილის ქუჩაზე მოეწყო სკვერი დაიდგა საბავშვო გასართობი ატრაქციონი, მოწესრიგდა გამწვანების საკითხი, მოეწყო სკვერში წყლის დასალევი ე.წ. "სოკო", დაიდგა ძელსკამები, გარე განათების ბოძები.

განხორციელდა ამხანაგობის ეზოების კეთილმოწყობა შემდეგ მისამართებზე *თბილისის ქუჩა. 48; სოლომონ 1-ლის ქუჩა N42; ამხანაგობა"საფიჩხია"; კოსტავას ქუჩა N61; კოსტავას ქუჩის მე-3 ჩიხი, N5; ლესია უკრაინკის ქუჩა N12.*

ანაფრეზით მოხდა ქუჩების შეკეთება რეაბილიტაცია:

სოლომონ მე-2-ეს ქუჩის მე-4 ჩიხში, პანსიონატ "წყალწითელას" მიმდებარე ტერიტორიაზე ,მწვანეყვავილას ქუჩა N192-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, გელათის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, ტელეანძის მიმდებარედ, დ. კლდიაშვილის ქუჩის N161-ში.

ხარაზოვის ბაღსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მოეწყო ვიდეო სათვალთვალო კამერა.

საახალწლო-სააღდგომოდ სურსათით დახმარება გაეწია 480 ოჯახს; 45 მრავალშვილიან დედას; მარტოხელა დედებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს , მადლიერების სახლის ბენეფიციარებს; 1-ლი ჯგუფის ინვალიდებს.

კახიანოური

კახიანოურის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებული პროექტები:

კაპიტალურად რეაბილიტირებული იქნა: კუპრაძის ქუჩა, ბაგრატიონის ქუჩის ბოლო მონაკვეთი;**რეაბილიტირებულ იქნა მოაჯირი** კუპრაძის ქუჩის დასაწყისში;

ახალგაზრდობის გამზირის კორპუსებს ჩაუტარდა ფასადების რეაბილიტაცია;

განხორციელდა საყრდენი კედლის რეაბილიტაცია, ნეკრასოვის ქუჩის N6-ში;

პროგრამა კორპუსით გათვალისწინებული სადარბაზოს რემონტი ჩატარდა : ლეონიძის ქუჩის N5-ში, , ბალანჩივაძის ქუჩის N2/6- ში, ახალგაზრდობის გამზ. N74-ში, N76-ში, N80-ში; (თუმცა უნდა ითქვას, ისიც რომ სამუშაოები მიმდინარეობს ხარვეზებით და მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილოა);

ახალგაზრდობის გამზ. 1 შესახვევში (მესამე ქვეითი ბრიგადის წინ) განხორციელდა გზის შეკეთება ბეტონის საფარით.

მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული გზის სავალი ნაწილის დაწნეხილი ფილებისა შემდეგ მისამართებზე : ჭყონდიდელის ქუჩა N9, N21, N25, N79; რაზმაძის ქუჩა N11, N34; გოგოლის ქუჩა N16, N20, N28, N32, N83ა , N89, N91, N95; ლომთათიძის ქუჩა. N1; ხაბეიშვილის ქუჩა N49; შინდისის გმირების ქუჩა N9, N22; ჯორჯიაშვილის ქუჩა N56.

დაიხაზა მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებები : ახალგაზრდობის გამზირსა და წერეთლის ქუჩაზე.

გაიწმინდა სანიაღვრე არხები შემდეგ მისამართებზე :

ხაბეიშვილის ქუჩა, ფოთის ქუჩა, განჯის ქუჩა, გოგოლის ქუჩა N45, წერეთლის ქუჩა №161, №163, №276,წერეთლის ქუჩა მე-5 ჩიხი, კუპრაძის ქუჩა მე-2 შეს, მახვილაძის ქუჩა №13-სა

და№15 ბინებს შორის კიბის მიმდებარედ, მახვილაძის ქუჩა №17, №19; დეპოს ქუჩა,აბაშიძის ქუჩა N2, გურამიშვილის ქუჩის დასაწყისი და ბოლო მონაკვეთი ,ფოთის ქუჩა N 38 და N 40;

ახალი ცხაური გაკეთდა : ლეონიძის ქუჩა N4-ში;

წყლის ქცევა აღმოიფხვრა : ბალანჩივაძის ქუჩა N2/6- ში, ფოთის ქუჩა N 10-ში, დეპოს ქუჩა N 28-ში, რაზმაძის ქუჩა N46-ში, გოგოლის ქუჩა N51-სა და N 91-ში, მოსკოვის ქუჩა N20-ში, ნეკრასოვის ქუჩა N 85-ში, გურამიშვილის ქუჩა N4-ში, რაზმაძის ქუჩა N37-ში, გურამიშვილის ქუჩა N18-ში, თამარ მეფის ქუჩა N105-ში, მახვილაძის ქუჩა N 10-ში, ჩორგოლიანის ქუჩა N 6-ში, ევდოშვილის მე-10 შესახვევის N2-ში, ახალგაზრდობის გამზ. 1 შესახვევის N29-ში (ატეესის მიმდებარედ), ჩორგოლიანის ქუჩა N8-ში, ლეონიძის ქუჩა N6/19-ში, მახვილაძის ქუჩა N13-ში, ლეონიძის ქუჩა N5-ში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N45-ში, გურამიშვილის ქუჩა N1-ში, მახვილაძის ქუჩა N44-ში, დეპოს ქუჩა მე-3 ჩიხი, ჯორჯიაშვილი ქუჩა N4-ში, ბაგრატიონის N5-ში, თამარ მეფის N90-ში, მახვილაძის ქუჩა N11 -ის მიმდებარედ, ბალანჩივაძის 2 შესახვევის N2 (კორპუსი), გურამიშვილის ქუჩა N51-ში, ევდოშვილის მე-8 შესახვევის N 8, N7,N6-ში, ბალანჩივაძის ქუჩის 1-ჩიხის N8-ში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N31-ში;

საკანალიზაციო სისტემა გაიწმინდა: გურამიშვილის ქუჩის N61-ში, ჩორგოლიანის ქუჩის N14-ში, მახვილაძის ქუჩის N22-ში, ახალგაზრდობის გამზ. N 64-ში, N90-ში , N88-ში , N92-ში, N94-ში , N86-ში, N86 ა -ში, ლეონიძის ქუჩის N5-ში, N7-ში, აბაშიძის ქუჩის N2-ში, N4-ში, ბალანჩივაძის ქუჩის მე-2 შესახვევის N6-ში; წერეთლის ქუჩის N276-სა და N276ა-ში;

დაზიანებული გარე-განათების სანათი წერტილების აღდგენა მოხდა: ლეონიძის ქუჩის N1-ში (სკვერი), ჭყონდიდელის ქუჩის N64-ში ;

დაემატა გარე განათების „კრონშტეინი“ : მახვილაძის ქუჩის N9-ში **;**

გაითიბა და ეკალ-ბარდებისგან გაიწმინდა: ს. მახვილაძის ქუჩა №5-ისა და №7 ბინების უკანა ტერიტორია ლიანდაგების მხრიდან; ს. მახვილაძის ქუჩის №7-სა და №9 ბინების მიმდებარე ტერიტორია მოსახლეობის ჩართულობით; ს. მახვილაძის ქუჩების №13-ის, №15-ის, №17-ის, №19-ის მიმდებარე ტერიტორიები. ახალგაზრდობის გამზ. №74-ის, №76-ის, №78-ის, №80-ის მიმდებარე ტერიტორია, ლეონიძის ქუჩის № 4-ის, №4ა-ს, №5-ის, №6-ის, საეკლესიო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მანდარიას ქუჩის ფერდობი, თამარ მეფის ქუჩის მონაკვეთი, კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევი, ვ. კუპრაძის ქუჩის №18-ის მიმდებარე ტერიტორია (რკ. სადგურზე გადასასვლელ კიბეებთან), ვ. კუპრაძის ქუჩა საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ, „კახიანოურის“ ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორია, ახალგაზრდობის გამზირზე არსებული გაზონები, წერეთლის ქუჩის № 276-ის, №276/40-ის ტერიტორია, წერეთლის ქუჩის სტადიონი.

აბაშიძის ქუჩა, ბაგრატიონის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა, ახალგაზრდობის გამზ. 1 შესახვევის N29, გურამიშვილის ქუჩის N61, ბალანჩივაძის ქუჩის N2/1, N2/2, N2/6, მე-2 შეს. N2, N4, N6; კუპრაძის ქუჩა N18, N20;

გადაიბელა მაღალი ტანის ხეები : მახვილაძის ქუჩის N7-ში, ახალგაზრდობის გამზ. 1 შესახვევში, მახვილაძის ქუჩის N5-ში და ევდოშვილის ქუჩის N65-ში;

ქვეწარმავლების დასაფრთხობად განხორციელდა ტერიტორიების ქიმიური რეპლენტით დამუშავება შემდეგ მისამართებზე: ბალანჩივაძის ქუჩის N2/1-ში, ბალანჩივაძის ქუჩის N2/2-ში, მახვილაძის ქუჩის N 7-ში, N9-სა და N11-ში;

სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, სურსათის ნობათით დახმარება გაეწია 400 ოჯახს;

სურსათის ნობათით დახმარება გაეწია მრავალშვილიანებს, სოციალურად დაუცველებს, მადლიერების სახლის ბენეფიციარებს ;

„გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამით ისარგებლა 10-მა ოჯახმა;

გადასახური მასალა გადაეცა : ახალგაზრდობის გამზ. 1 შესახვევის N29-ის, ახალგაზრდობის გამზ. N10-ისა და მახვილაძის ქუჩის N5 **ბინების ამხანაგობებს;**

მახვილაძის ქუჩის N17-ის **ბინის ამხანაგობამ ისარგებლა პროგრამა „კორპუსით“ გათვალისწინებული პროგრამით, სადარბაზოს რემონტი;**

მოეწყო ამხანაგობების ეზოების საფარი : ახალგაზრდობის გამზ. N62, N70, N74-ისა და N80-ის ბინებში;

რეაბილიტირებულ იქნა ახალგაზრდობის გამზ. N100ა-ს **ბინის ფასადი :**

სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი საშუალებები გადაეცა : გურამიშვილის ქუჩა N61-ის, წერეთლის ქუჩა N276-ის, ახალგაზრდობის გამზირი N 64-ის, მახვილაძის ქუჩა N3-ის, ბალანჩივაძის ქუჩა მე-2 შესახვევის N2-ის ბინების ამხანაგობებს;

მუხნარი

„მუხნარის“ ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა ახალგაზრდობის გამზირის მე-7 შესახვევში არსებული ჩიხის კეთილმოწყობა.ჩატარდა ახალგაზრდობის გამზირის N45-47 და მე-7 შესახვევის N72-ის საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.

დაწყებულია და მიმდინარეობს ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევში სკვერის რეაბილიტაცია. სადგურ ,,რიონის“ ბინების მცხოვრებთათვის 400 მეტრიანი გზის კეთილმოწყობა.

ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სპორტული მოედანის მოწყობა.

2022 წლის განმავლობაში ერთჯერად მატერიალურ დახმარების მოთხოვნით მომმართა ჯანმრთელობის და სოციალური სხვადასხვა პრობლემების მქონე 109 მოქალაქემ (მათ შორის (73 ქალი,36 მამაკაცი), რომელთაც გაეწია შესაბამისი დახმარება.

გამოწვევები:

- გამოწვევად რჩება ტრანსპორტის პრობლემა როგორც საფიჩხიის ასევე კახიანოურის ადმინისტრაციულ ერთეულში.
- საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების ცენტრალიზება და სისტემატიზაცია
- საფიჩხიის მოედნის რეაბილიტაცია.
- სკვერებისა და სპორტული მოედნების განახლება , ახალი სივრცეების შექმნა.

ქ.კოსტავა მაგდა კოსტავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

საფიჩხიის,კახიანოურისა და მუხნარის მაჟორიტარი